თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4577666

ნომერი: AR1690493

თარიღი : 27.06.2019

გაცემის თარიღი : 08.07.2019

გაცნობის თარიღი : 08.07.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბარათაშვილის ხიდთან, ანჩისხატის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 27 ივნისის № AR1690493 განცხადება. გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N26, 04.07.2019წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა ბარათაშვილის ხიდთან, ანჩისხატის მიმდებარედ 60 კვ.მ.-მდე შენობის განთავსების საკითხს.

საკითხის განხილვისას თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.18.03.014.001 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-ში.

რზ-2 სარეკრეაციო ქვეზონა მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; რზ-2 ში – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა.

ვინაიდან სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-ში ობიექტის აღნიშნული ფუნქციით განვითარება საჭიროებს სპეციალურ (ზონლურ) შეთანხმებას, სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. შესაბამისად საკითხი განხილულ უნდა იქნას ურბანულ სამსახურში, რისთვისაც ახალი განაცხადი უნდა ატვირთოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში. ურბანულ საკითხებზე განცხადებებების რეგისტრაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში კერძოდ:

• სპეციალური (ზონალური) შეთანხმება

მხოლოდ აღნიშნულის განხორციელებისა და დადებითი პასუხის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.